საქართ. ნაციონალ. პარტიის.

# კლდე

აპრილის 25
(აპრილის 12)
1920 წელი

№ 17

ფასი 5 მან.

გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფ-
ლის მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა ინტერესებს

„კლდე"

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის
10 საათიდან 3 საათამდე.

ფასი წლის დამლევამდე 200 მან.

მისამართი კონტორის: დამფუძ. კრებ. ქ. № 5
რედაქციის: წყნეთის ქ. № 17.

ტელეფონი 22.

შინაარსი

მეთაური რუსული ვაკხანალია საქართველოში.
ი. დიდიძე. სან-რემოს კონფერენციისათვის.
მიმოხილვა ს.-დ. ცენტრალ. კომიტეტი და მთავრობა.
სამაჰმადიანო საქართველოს ავტონომიის პროექტი.
ჯემალ-ფაშა ხიმშიაშვილის მოწოდება.
ხოფლის პროფესიონალურ კავშირებზე (სამინისტროს განმარტება).
ოსმალეთი და ინგლისი.
ახალქალაქიდან

## რუსული ვაკხანალია საქართველოში.

საქართველოს მთავრობამ მეორედ გაუღო დარიალის კარი სამოქალაქო ომით დევნილ რუსებს: გუშინ ბოლშევიკებს, დღეს დენიკელებს ორივე შემთხვევაში გადაარჩინა მრავალი რუსი ადამიანი მხეცურ სიკვდილისაგან და სხვა რუს ინტელიგენტებთან ერთად კაი ხანია შეფარებულ და დაბანაკებულ საქართველოში შეუნახა მათი თავები რუსეთს.

სამაგიეროდ ამ კეთილშობილ ხალხმა გუშინ ბოლშევიკური აჯანყებით გადაუხადა დღეს კი თავაშვებული აგიტაციას ეწევიან საქართველოს წინააღმდეგ.

უკანასკნელ დროს ქ. თბილისი გადაიქცა რუსეთის და რუსების საagიტაციო ცენტრად. უცხოელი პირველად ჩამოსული თბილისში უსათუოდ იფიქრებს რომ თბილისი რუსეთის სატახტო ქალაქია და არა საქართველოსი. არც საკვირველია. შეხვალთ სახელმწიფო თეატრში რუსული ოპერა და „მოსკოვის სამხატვრო"-საღამოები, არტისტიულ საზოგადოებაში—რუსული დრამა, სალექციო დარბაზებში—რუსული ლექციები პალმოვებისა, პეტროვებისა, ივანოვებისა, პოპოვებისა...

ყველგან მხოლოდ რუსული და რუსეთის კულტის, კულტურის და პოლიტიკურ ორიენტაციის ქადაგობა და აგიტაცია. რას ნიშნავს ეს?

რას ნიშნავს რომ საქართველოს სახელმწიფო თეატრიდან ფაქტიურად დევნილია ქართული ოპერა, დრამა და გამეფებულია ყოველივე რუსული. რატომ რუსულ „მოსკოვის დრამას" არ უშლის აკუსტიური თვისებანი სახელმწიფო თეატრის დარბაზისა და ქართულ დრამას კი უშლის? (იხილე მოხსენება თბილისის ქალაქის თავისა ბ. ჩხიკვიშვილისა არტისტიულ თეატრის ჩამორთმევის თაობაზე).

რომელი აკუსტიური პირობები ხელს უწყობს რუს სოც.-დემ. დ. პოპოვს (მენშევიკს) თავაშვებულ აგიტაციის გაწევა საქართველოს დამოუკიდებლობის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ჩვენს დედა ქალაქში? (ლექცია დ. მ. პოპოვისა 17/IV „ამიერ კავკასიის უნივერსიტეტში").

რომელი აკუსტიკის ბრალია რომ ჩვენი სამინისტროები (მაგალითად მომარაგებისა) რუსებით და რუს ებრაელებით გატენილია, როდესაც ათასი უმუშევრო ქართველი ადამიანი უსაქმოდ დაეხეტება?

სად გაგონილია სახელმწიფოს ეროვნული და პოლიტიკური პრესტიჟის ასეთი უპატრონობა, მაშინ როდესაც რუსული ტალღები მოადგნენ საქართველოს სანაპიროებს და გატანით ემუქრებიან? გვიჩვენეთ მაგალითი რუსეთისაგან ახლად ჩამოშორებული რომელიმე ქვეყნის ცხოვრებიდან (პოლონეთისა, ლიტვისა ფინლანდიისა თუ სხ.) სადაც დაშვებული იყოს ასეთი მოურიდებელი აგიტაცია რუსეთისთვის. იმ ქვეყნებშიც ბევრი რუსი მოხვდა, მაგრამ ვინც ამ ქვეყნის საწინააღმდეგოთ მომართული იყო ის მოხვდა ან ციხეში ან საკონცენტრაციო ლაგერებში.

თბილისში კი ბ. ბ. პოპოვები ჩვენი მთავრობის სახლის გვერდით საჯარო ლექციებზე ახდილად ლანძღავენ საქართველოს და ქართველებს და მოურიდებლად მოსთხოვენ: მიეცით რუსებს მეტი თავისუფლება და მაშინ გიჩვენებთ სეირსო!

რომ რუსის ბუნებას არას დროს არც ზომა, არც საზღვარი არც მორიდება ან მადლობის გრძნობა არა სჩვევია ეს ჩვენ ხომ ვიცით.

ვიცით ისიც რომ რუსი ბოლშევიკი, მენშევიკი თუ დენიკინელი საქართველოში სულ ერთად არიან, ერთად დადიან, რუსულად მღერიან, მხოლოდ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელ ნაციონალურ არსებობის წინააღმდეგ მომართულნი არიან და ბოლშევიკურ რუსეთის მუშტის მოღერებით გვემუქრებიან. ყველაფერი ეს ვიცით, უკეთ რომ ვსთქვათ იცის მთავრობამ, და იმის მაგიერ რომ რადიკალური ზომები მიიღოს ალვირ ახსნილ რუსულ ამიტატორების, ლექტორების მქადაგებლების წინააღმდეგ, მოსპოს საქართველოში და თბილისში რუსოფილური აგიტაცია, პროვოკაცია და ინტრიგა, ჩვენი მოსკოვურ-ოდესურ ყაიდის მინისტრებში სტენავენ ქართულ სახელმწიფო დაწესებულებებს რუსებით დ რუს ებრაელებით და სამინისტროები კი მოწიწებით ურიგებენ ქართველებს ორასთუმნიან ლოჟებს გამოქცეულ მოსკოვის არტისტების სპექტაკლებზე!

ცხადია დარიალის ხეობით ბარაბახის რაკუნით მესამეჯერ შემოსულ რუსეთსა თბილისში ყველაფერი დამზადებული დახვდება: კრემერ შრედერის რუსული გაზეთი „ბორბა", უმთავრესი სამინისტრო „მომარაგება", პეტროგრადის ოპერა, მოსკოვის დრამა, პირველ ხარისხოვანი სუდეიკინის რესტორანი და ერთი კაი კორპუსი შემდგარი საქართველოში დაბანაკებულ რუსობისაგან!

## სან-რემოს კონფერენციისათვის.

გამარჯვებულმა ანტანტამ კარგა ხანია ყველიერის კვირა დაჰკარგა და დიდი მარხვის თვეში გადავიდა!..

ეს ხანა ანტანტის ცხოვრებაში მიწურული და გარდამწყვეტ—გარდამტეხია.

შორს არწავალთ თუ ვიტყვით, რომ ანტანტის ოჯახი დაშლის, დარღვევის პროცესს ანვითარებს:

სან-რემო უკანასკნელი სასამართლო იქნება, ალბად, საიდანაც ყველა მიიღებს განაჩენს.

ომში მოგებულთა მდგომარეობა ისთავიდანვე უაღრესად რთული და შინაგან წინააღმდეგობებით იყო თანხლებული.

ხშირად გამარჯვებული ანტანტა დამარცხებულის ყოფას ინატრებდა, იმიტომ რომ მის წინაშე გადასაჭრელად წამოყენებული საკითხები ისეთი სიგრძის და ოდენობის იყო, რომ ომის მოგებას სრულიად ჩრდილავდა.

„ანტანტური" ზავი არც ისე მტკიცეა, რომ ჩვენ გულ დაწყნარებით მომავლის პერსპექტივები ცივ მსჯელობას და აკადემიურ გადაფასებას მივცეთ. ქვეყნიერების გემი ისევ საჭე მოშვებული ქანაობს აღელვებულ ზღვაში, კაცობრიობას სისხლიანი დღეები ელანდება, გერმანია მსოფლიო საფრთხის საგანია, რუსეთი და ოსმალეთი ანტანტს მოსვენებას არ აძლევს. ჩვენ გვგონია, რომ ამ ჟამად განჭვრეტილი პერსპექტივები არც არსებობს.

ყველაფერი დღიურია კვირეულ ხასკვნებით და ჩვენც ამ ხაზით გვინდა ვიხელმძღვანელოთ.

მაგრამ როგორი ცვლილებაც არ უნდა მოხდეს ამ უახლოეს მომავალში, ანტანტს ერთგვარი წონა და სიმძიმე მაინც შერჩება. აი, ამიტომ პატარა ერებს სჭირიათ ანტანტასთან რეალური მორიგება და საერთო ენის გამონახვა. საქართველო, რომელიც ანტანტის წინაშე თითქოს ვიღაცამ დასწყევლა, რომ აქობამდის ანტანტამ საქართველოს ენა საკმაოდ ვერ გაიგო, დღეს იმოდენებს, რომ ანტანტა მას სამართლიან განსჯას აკუთვნებს.

განვლილი გამოცდილება საყოფია, რომ ანტანტა ამ გზას დაადგეს, კავკასიაში რუსულ ავანტიურისთვის და სხვა შორეულ კომბინაციებისთვის ფეხის მოსაკვეთად, რომელიც თავისუფალ გადაშლის პირობებში ინგლისს ემუქრება სპარსეთ, ინდოეთში და ყველა მოკავშირეთ კი ოსმალეთში. რომ კავკასიაში ეროვნული სახელმწიფო არ ყოფილიყო ზურგის წერტილად, საჭირო იყო ასეთის ხელოვნურად შექმნა, მაგრამ ეროვნული სახელმწიფოები კავკასიაში არის, მათ შორის ისტორიულად ცნობილია ძველი საქართველო ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში კავკასია და აზიაში უძლიერეს სახელმწიფოს წარმომდგენი. ანტანტისთვის და განსაკუთრებით კი ინგლისისთვის პირდაპირ აუცილებლობაა, რომ ასეთ სახელმწიფოსთან სადი კავშირი გააბან.

სახელმწიფოებრივი ქვეყანა სადი ეროვნულ ორგანიზმით უკეთესი ძალა იქნება კავკასიის ანარქიულ ცეცხლისგან გადასარჩენად.

დენიკინი და ლენინი ორივე რუსია და ადვილად შესაძლებელია, რომ ხვალ ეს ორი უკიდურესობათა ბელადნი ერთ ეტლში დავინახოთ, თორემ უბრალო მომაკვდავი ბოლშევიკი და დენიკინელი კარგა ხანია შეერთდა!..

რუსეთის აღდგენა მთავრდება და ანტანტას დღეს სულ სხვა შესაძლებლობანი უნდა დაუდგეს წინ. რუსულ-გერმანულ-ოსმალური საფრთხე არც ისე განყენებული მოვლენაა. ამ დროის ვითარების მოხერხებულად გამშიფრავი უთუოდ გულ ახდილად იტყვის, რომ ევროპა საშიშ ყოფაშია.

ოსმალეთის საკითხი აფეთქების სიურპრიზს ჰპირდება ევროპას, ანტანტას დაუდგა ხანა რეალურ პოლიტიკისა და ამ შემთხვევაში, როგორც ხდება ხშირად „პრინციპების" გზა ახვევისა.

საქართველო ისეთი წერტილია აზიის პრობლემაში, რომ მასთან კეთილ მეგობრული დამოკიდებულება უეჭველად უნდა ინგლისს.

საქართველო გასაღებია აზიის ბილიკების და ამ გასაღების თავისივე ხელით მოშლა, სხვისთვის გაბოძება ან მისი მტრად გადაკიდება ანტანტს არ უნდა მიაჩნდეს სანუკვარად.

საქართველოსთან კავშირი ინგლისს ფეხს უმაგრებს სპარსეთში, ინდოეთში და სხვაგან.

თავის მხრით საქართველოც საჭიროებს გამოცდილ მოკავშირეს და იგი ვინც მასთან გულ წრფელად მივა ხელს, ჩამოართმევს.

მაგრამ ვსთქვათ კავშირი არ მოხერხდა, ყველაფერი უცნაურად წავიდა, ამ შემთხვევაშიც ანტანტს და საქართველოს სადავო არაფერი აქვთ, საქართველო, რომელიც მუდამ ევროპისკენ იცქირებოდა და დღესაც ევროპის სინათლით ჰსუნთქავს, ევროპის სახელმწიფოებს აფასებს და პატივსცემს იმდენად, რამდენადაც ეს ცივილიზაციის აკვანი ქვეყნები ძველ საქართველოს ხელმწიფებას ანგარიშს გაუწევენ და შეიწყნარებენ.

რუსი რომ დაეცეს თავს საქართველოს თავისუფლებას, ეს ჩვენ არ გაგვიკვირდება, რადგან უხეში ბარბაროსი სკვითი სულ სხვის გადაყლაპვაზეა გამწვრთნილი, მაგრამ ინგლისი, რომელიც თავისუფლების ტრადიციული ქვეყანაა და ინგლისის თანდროული თავისუფლება რუსეთის შორეულ მომავალ თაობის სანეტარო მიზნად უნდა იქცეს, ჩვენ გავცვიფრდებით, თუ ეს ინგლისი ქართველი ერის თავისუფლებას ფეხს დააბიჯებს.

ბათუმის საკითხში იმდენი არა ნორმალობა შეიქმნა, რომ ინგლისზე ქართველ ხალხს გული გაუტყდა.

მაგრამ ჩვენ გვინდა ვიწამოთ, რომ ყველაფერი ეს ხდებოდა ინგლისისგან საქართველოს საკმაოდ არცნობით, ჩვენი სამშვიდობო დელეგაციის უმუშევრობით, ხოლო ბოლოს ჩვენი ქვეყნის მტრების მაცადინეობით, რომლებიც ხელოვნურად უწყობდენ ხელს ჩვენი და ინგლისის შორის ურთიერთობის გამწვავებას!..

ყველაფერს ბოლო აქვს და აქაც უნდა ველიროთ საზღვარს.

ინგლისმა არ უნდა აჩუქოს ანარქიას და რუსის ბოლშევიკობას ბათუმის მხარე და იგი თანახმად მთელი ხალხის სურვილისა საჩქაროდ გადმოსცეს საქართველოს...

ანტანტის ოჯახში ჩვენ მხარის დამჭერნიც გვყავან.

რეალური პოლიტიკა ერთი მხრით საქართველოსი და მეორე მხრით ინგლისისა დღეს უნდა შეხვდეს ერთმანეთს და შეთანხმდეს.

საქართველო უბრალო საკოლონიო ქვეყანა არ არის, მაზე თვალი ყველას რჩება, მისთვის მეტოქეობა აუცილებელია, რომლის დროსაც საქართველომ უნდა ისარგებლოს და თავის დამოუკიდებელი გზა განაგრძოს, მაგრამ მაინც სასურველია, რომ მანამდის მოხდეს ჩამოყალიბებული შეკავშირება იმ სახელმწიფოსთან რომლის ინტერესის ისარიც მომარჯვებულად დაესობა ივერიაში და ჩვენი ინტერესიც შეიგუებს მას.

უკანასკნელი სიტყვა სან-რემოს ეკუთვნის! დაე ნუ იქნება სან-რემო ჩვენი გამწბილებელი, ვინც ბათუმზე საქართველოს უფლებებს იცნობს საქართველოს გულს სამუდამოდ მოიგებს.

ანტანტისგან ამას ველით!..

ი. დიდიძე.

ბათუმი,

## მიმოხილვა

### ს.-დ. ცენტრ. კომიტეტი და მთავრობა.

ქუთაისის გაზეთ „სოციალ-დემოკრატში" ბ-ნი კაჟი არკვევს მაისისთვის დანიშნულ სოციალ-დემოკრატიულ ყრილობის საკითხებს, ეხება ს.-დ. ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დამოკიდებულებას და ასე ამბობს:

„ზოგიერთი ამხანაგები ცეკას სისუსტეს ხსნიან იმით, რომ მასში შედის ჩვენი მთავრობის წევრების უმეტესობა და ამიტომ ფიქრობენ, რომ მთავრობის წევრები პარტიის ხელმძღვანელ ორგანოშიც არ უნდა იყვნენ. ამაში ისინი მართალი არიან, მარა არა საფუძვლებით. ისინი მას პრინციპიალური მხრიდან უდგებიან და სვამენ კითხვას: შესაძლებელია თუ არა ერთსა და იმავე დროს მთავრობის წევრი იყოს ცეკას წევრიცო?

დიახ, ამას ვხედავთ, ამაზე ხშირათ ვლაპარაკობთ და ვსწერთ, მარა მიუხედავათ ამისა, ჩვენ დღემდის ვერ გავუმეტებია პარტიისთვის ამხანაგები. გამოჩნდება თუ არა რომელიმე თვალსაჩინო ამხანაგი, მას ან მთავრობაში ვუკრავთ თავს, ან სადმე სხვაგან გავგზავნით.......

.......პრაქტიკული და ტაქტიკური მოსაზრებანი, და არა პრინციპიალური, ჩვენ გვეუბნება, რომ პარტიის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო შევადგინოთ სულ სხვა საფუძველზე, ვინემ დღემდის იყო. ცეკაში არ უნდა შედიოდნენ მთავრობის ყველა წევრები ამის აუცილებლობა არ არის, ამას არც საქმის ინტერესები მოითხოვს. მთავრობის წევრები არ უნდა შეადგენდენ ცეკას მუშაობის მამოძრავებელ მთავარ ძარღვს. ამისთვის საჭიროა პარტიაში სპეციალურათ მომუშავე ამხანაგები, რომელთა მთავარი დრო და ენერგია პარტიისთვის იხარჯება. პრაქტიკულათ ის ასე უნდა მოეწყოს: თუ ცეკა შესდგება 15 წევრიდან, მთავრობიდან მასში უნდა შედიოდეს არა უმეტეს 3 ამხანაგისა, მარა რადგან მათ თავის თავზე აღებული აქვთ დიდი საპასუხისმგებლო საქმე—მთავრობაში მუშაობა, ამიტომ ისინი უმთავრეს მუშაობას ეწევიან მთავრობაში და არა ცეკაში.

მარა შეიძლება გვითხრან, რომ რატომ სამი და არა ხუთი ან შვიდით?

როგორც ზევით ვთქვით, ეს არ არის სასურველი არც ერთი ორგანიზაციისთვის. ამ პირობებში მომუშავე ამხანაგები ან ერთ ორგანოს მოაკლებენ თავის ყურადღებას და ან მეორეს. ჩვენთვის კი არ არის ხელსაყრელი, რომ ჩვენ პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოები „მკვდარი სულებით" შევავსოთ განა გარდა ორიოდე ამხანაგისა შეუძლიანთ თქვენ მთავრობაში მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მუშავე ამხანაგებმა, ჩვენ ცეკაში ვმუშაობდით და რამე გავაკეთეთ?! არა.

მთავრობაში მომუშავე ყველა ამხანაგის ცეკაში ყოფნა არც იმ მოსაზრებით არის ...ისადები, რომ მათ ცეკაში შეუძლიათ შექმნან „მთავრობის ხაზი" და „გავლენა". ეს ...ი სასურველი არ არის, ვინაიდან იგი მოა...რუნებს, როგორც პარტიის მუშაობას, ისე მთავრობისას. გავლენას პარტია უნდა ახდენდეს მთავრობაზე და არა მთავრობა პარტიაზე.

შეიძლება თქვან: ეს ყველაფერი კარგია, ...არა მოგვეცით ხალხი, რომელთაც შეეძლებათ პარტიის უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელობა და მასში მუშაობა. ჩვენ გვგონია, რომ ასეთი ამხანაგები მთავრობის გარეშეც მოიპოვებიან. მაგრამ თუ არ არის, მაშინ კეთილი ინებეთ და გაათავისუფლეთ მთავრობიდან ზოგიერთი ამხანაგი, რომლის ცეკაში მუშაობას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ვინემ მთავრობაში".

ჩვენ გვეშინია, მინისტრების მთავრობიდან „განთავისუფლების" საკითხმა ისეთივე მწვავე ხასიათი არ მიიღოს, როგორიც იყო მაშინ, როცა მთავრობაში „ახალი" მინისტრები შეყავდათ და „ძველი" მინისტრები ერთი კვირის განმავლობაში ისე ჩამოხმენ, რომ ჯერაც ფერზე ვერ მოსულან.

## მაჰმადიანი საქართველოს ავტონომიის პროექტი

ბათუმის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობამ, რომელიც შესდგა ქალაქ ბათუმში, ქალაქის თვითმართველობის შენობაში, თავის მუშაობის მეორე დღეს, პირველ სექტემბერს, 1919 წ. მიიღო შემდეგი დადგენილება:

I. სამუსლიმანო საქართველოს, დედა-საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლებში, უნდა ჰყავდეს თავისი ავტონომიური მთავრობა.

II. სამუსლიმანო საქართველოს საკანონმდებლო პარლამენტი უნდა ჰყავდეს.

III. სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიური მთავრობა შინაგან საქმეებში უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი; ეს საქმეებია: ა) სარწმუნოებრივი საქმე, ბ) სამოსამართლო, გ) საადმინისტრაციო, დ) სამოსწავლო, ე) სამეურნეო, სავაჭრო, ...ტყველო და სხვა ეკონომიური საქმეები და ვ) სხვა შინაური საქმეები.

IV. სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიური მთავრობა მთელ საქართველოს მთავრობასთან ერთად განსაზღვრულ პირობებში უნდა აწარმოებდეს შემდეგ საქმეებს: სამხედროს, საფინანსოს, საგარეოს, ფოსტა-ტელეგრაფს, რკინის გზებს და საბაჟოს.

V. ავტონომიურ სამუსლიმანო საქართველოს ძირითადი კანონები შემუშავებული უნდა იქნას მოწვეულ დამფუძნებელ კრების მიერ.

VI. ყრილობა ბათუმის ოლქის მცხოვრებთა ინტერესების და უფლებების დაცველად და აგრეთვე ოლქის მართვა-გამგეობისათვის ირჩევს 37 წევრისაგან შედგარ მეჯლისს.

VII. მეჯლისს უფლება ეძლევა მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რათა სამუსლიმანო საქართველო ფართე ავტონომიურად შეუერთდეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას; ამისათვის მას ევალება აღძრას შუამდგომლობა სამუსლიმანო საქართველოს ფართე ავტონომიის დამტკიცებისათვის, როგორც საქართველოს რესპუბლიკის, აგრეთვე პარიზის საზავო კონფერენციის წინაშე.

VIII. მეჯლისს ევალება აღძრას შუამდგომლობა ინგლისის მთავრობისა და მის მოკავშირეთა წინაშე: ა) რათა ბათუმის ოლქის მართებლობის უფლება გადაეცეს თვით ოლქის მცხოვრებლებს, ბ) მოხდეს სწარაფო ახალი არჩევნები ქალაქის თვითმართველობისა, გ) გადაეცეს ფოსტა ტელეგრაფი საქართველოს მთავრობას საერთო წარმოებისათვის და დ) გადმოტანილ იქმნას ქ. ბათუმში ნატანების საბაჟო აგრეთვე საერთო წარმოებისათვის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საქართველოს მთავრობამ ეს დადგენილება მოისმინა 1919 წ. 11 სექტემბრის სხდომაზე, მიიღო იგი პრინციპიალურად და გადასცა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას დაწვრილებითი განხილვისათვის.

## ჯემალ-ფაშა ხიმშიაშვილის მოწოდება.

### აჭარის ხალხისადმი.

**პატივცემულნო მეზობლებო და ძვირფასო ძმებო!**

ყველას გულწრფელად მოკითხვას მოგახსენებ და ყოველთვის ვსთხოვ ღმერთს თქვენ მშვიდობას!

საყვარელო მეზობლებო!

მე, თქვენგან დაშორებული, ჩემს თავს ვალდებულად ვსთვლი თქვენ რამოდენიმე სიტყვით შემდეგი დარიგება მოგცეთ: თქვენ გთხოვთ, რომ ეს ჩემი დარიგება დიდი ყურადღებით წაიკითხოთ და მოისმინოთ; შემდეგ თქვენი საქმეა, გინდ იყაბულებთ და გინდ არა. მე ამ დარიგების თქვენზე მიცემას ჩემთვის სავალდებულოდ ვსთვლი, თუმცა არასდროს ჩემს თავს საზოგადოებაზე უფრო ჭკვიანათ არ ვთვლი. მაგრამ რამოდენიმე წლების განმავლობაში მე თქვენი პურ-მარილი მამიდია და თქვენი ადამიანობა მინახავს. ამის გამო სიყვარულის ხალხზე სამსახურს ჩემს ვალად ვსთვლი. ამ გზაზე ჩემი მუშაობა და ერთგულობა თქვენ მე დაგიმტკიცეთ. მგონი, ამას თქვენც არ იყარებთ. ეხლაც ამ აზრზე და რწმენას ვადგავარ ძმებო, რამოდენიმეჯერ დიდ უბედურებებს გადაურჩით. საჭიროების დროს ჩვენი თავი მტერს და მოყვარეს ვაცნობეთ. ეხლა კი დრო და პირობები გამოიცვალა; ჭკვიანათ ვიყოთ და ვიფიქროთ ჩვენი ქვეყნის და ხალხის მშვიდობიანობაზე და მოსვენებაზე. ყველას მოგეხსენებათ, რომ წელიწადი გაიარა მას შემდეგ, რაც ბათუმში ინგლისის მთავრობა დაარსდა. ამ დროის განმავლობაში ცარცვა-გლეჯამ და მკვლელობამ საზღვარი გადალახა, ჩვენი გზები გაფუჭდა, შკოლები დაიხურა და არავინ არავითარი სარგებლობა ვერ დაინახა, ესე იგი ჩვენი ქვეყანა უპატრონოთ დარჩა. ჩვენ მეზობელ ქვეყნებს შევხედოთ! ყველამ თავისთავის პატრონი და მცველი ნახა. ჩვენ კი გვეუბნებოდნენ „ოსმალები მოდიან, აქა მეგიდენ ოდაში, ამდენი ჯარი მოიყარა, ხოთამეც ისე"—ამ იმედით ჩვენ ამ დრომდი მეიდანში დავრჩით. ეს სულ რა ხრიკები იყო, მგონია, თქვენ ახლა კარგა გესმით. ძმებო, ყოველთვის წრფელობით ვერ გავაგებინეთ. ღმერთით, შეგხვდებით და პირადათ მოგახსენებ. მაშინ თქვენც ყოველთვის კარგათ გეგებათ და დაამტკიცებთ. ოსმალეთის თავზე ასეთი უბედურების მომტანი მთავრობები ჩვენთვის კარგის მსურველი არ იქნებიან. დროა ჩვენი თავი ვიხსნათ და ჩვენ თავს ვუშველოთ. დღეს ჩვენი ახლო მეზობელი ვინც არის, ამასთან ერთად ვიყოთ. ჩვენი ხალხი საქართველოში წასულადათ, ახალციხეში და არდაგანში წასულადათ, აგრეთვე მთებზე და იაილებში წასულადათ, რომლებიც საქართველოს ხელშია, ვერ ასებობს. აგრეთვე არის ბევრი ისეთი რამ, ურომლისოდაც შეუძლებელია ჩვენი ცხოვრება. ეს ყოველისფერი საფიქრებელია და ამის დაგვიანება საშიშრო მოქმედება. გადიზიანებით და გაშმაგებით საქმე არ გაკეთდება, ყოველისფერს, ყველა საქმეს წინდახედულება უნდა. მერე ნანობა და ჩივილი ხელს არ მოგვცემს. ამდენი ქალ-ბავშვის განადგურება - გაუბედურება, ჩვენი ქვეყნის გაფუჭება სვინდისიანობა არ იქნება. თქვენ შუა ჭკვიანები ბევრი არის. მოილაპარაკეთ, ჩვენი ქვეყნისთვის, ღარიბების მშვიდობიანობისათვის როგორც საჭირო იქნება, ისე დაადგინეთ. შეიძლება ყოველისფერი მეგითხოვოთ და საქართველოს მთავრობიდგან მიიღოთ. ნურავის სიტყვით ნუ მოტყუვდებით! გასულ წელში რაც უბედურებები თავს დაგვატყდა დავინახეთ. არავინ არ გვიპატრონა. კიდეც საქართველომ დაფაცურდა და ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანობაზე ეცადა და კიდეც რუსების მტარვალობიდგან გვიშველეს. ეხლა კი ჩვენში საქართველოს ჯარის შემოსვლა ჩვენ დამცირებისათვის და ჩვენზე გაბატონებისათვის კი არ არის, არამედ იმიტომ არის, რომ ჩვენი ქვეყანა მტრებს ხელში არ ჩაუგდოს და ჩვენ გადაგვარჩინოს. გეფიცები ღმერთს, რომ ეს ასეა და ყოველ ჯერით, რომ თქვენ შემდეგში ჩემს სიტყვებს გაიხსენებთ და ჩემზე მადლიერი იქნებით. მაგრამ ახლა თქვენი ჭკვიანათ ყოფნა საჭიროა. საქმე რომ წახდება, მერე მისი გამოკეთება შეუძლებელია.

ძმებო, ჩვენ ქვეყნისათვის ცოდვაა! აბა თქვენ იცით! ზოგიერთი ხალხის მტრების სიტყვას ნუ აჰყვებით. თქვენ იცით, გაიხსენეთ ხუთმეტების დრო! ჩვენ რა უბედურებები მოგვივიდა; ახლანდელი დრო უფრო სახიფათოა. ღმერთმა დაგვიცვას, დავიღუპებით. მე თქვენი მოღალატე არ ვარ! ღმერთმა ეს იცის, მაგრამ მე თქვენგან შორს დავრჩი, ამის მიზეზი თქვენ კარგათ იცით, მაგრამ მე სულით და გულით თქვენთან ვარ. დაიჯერეთ, რომ მე ვმუშაობ თქვენ კარგობისათვის, თქვენს სიკეთილდღეოთ. მე თუ ტყუილს ვამბობ, მე თუ თქვენს ღალატისათვის ვმუშაობდე, ღმერთმა მომკლას, ღმერთმა მკითხოს. ჩემს სიცოცხლეში ჯერ მე ასეთი ცუდი რამ არ მიქნია და არც ვიზამ. ახლა ქართველ ჯარს ყოველ გვარი დახმარება აღმოუჩინეთ და შეძლების დაგვარად პატივისცემას ნუ დააკლებთ. დაროცა საჭირო იქნება, ამჟარათ სთქვით, რომ ვინაიდგან აქამდე ოსმალეთს არ მისცეს, ჩვენ ქართველებს ვერ მოვშორდებით, ასე თქვით და ნურც ერთ მთავრობიდგან ნუ გეშინიათ. ცოტა ეტადეთ. ხალხს ვერვინ ვერაფერს ვერ უზამს. მაქსური ადგილობრივ მთავრობას როგორ უნდოდა თქვენით დაბმევა, იმის, რასაკვირველია, მიმხდარი იქნებით.

ძმებო!

ახლა დრო არის, წარმომადგენლები ამოირჩიეთ, გამოგზავნეთ; რაც საჭირო იქნება ჩვენ ქვეყნისთვის, მივიღოთ და გავაკეთოთ. დამაზათ და წყნარათ ვიყოთ, ამით ვათავებ მე ჩემს დარიგებას. ვსთხოვ ღმერთს თქვენს ბედნიერებას და მშვიდობას.

ძვირფასებო, მე ჩემს ვალდებულებას თქვენ გაცნობე და ცოდვიდგან გამოვედივარ. ჩემს დარიგებას მიიღებთ თუ არა, ეს თქვენი საქმეა, მე თქვენ ვერ დაგაძალებ. თქვენზე თხრობა და რჩევა ჩემი ვალია ამტენა.

**ხიმშიაშვილი ჯემალ-ფაშა.**

## სოფლის „პროფესიონალური" კავშირების შესახებ

ხონის რაიონში დაარსებულა „მიწის მუშათა პროფესიონალური კავშირი", რომლის მიზანი შემდეგია:

„სახელმწიფო ფონდის მიწების კავშირის მიერ სამართლიანი განაწილება წევრთა შორის.

აგრეთვე კავშირი მიზნად ისახავს მემამულეების ზედ-მეტ მიწების კულტურულ საშვალებით დამუშავებისათვის შეძენას და სამართლიანად განაწილებას წევრთა შორის.

**შენიშვნა:** ზედმეტ მიწებად ჩაითვლება 1) მიწები, რომელსაც სცემს მემამულე დასამუშავებლად, 2) მიწები, რომელსაც დაინახავს კავშირი საჭიროდ, გარდასცეს პროფესიონალურ კავშირს დასამუშავებლად თავის წევრთა შორის სამოდოთ.

მემამულეთაგან ზედ-მეტ მიწების შეძენისათვის კავშირი მიმართავს შემდეგ ზომებს, როგორიც არის: გაფიცვა, ბოიკოტი, რომლებშიაც კავშირი ჰგულისხმობს მუშა ხელის არ მიცემას, ყოველივე მეზობლური და პირადი კავშირის შეწყვეტას".

ამ „კულტურული" კავშირების შესახებ მიწათმოქმედების მინისტრმა შემდეგი ბრძანება გამოსცა:

„მომავალში სასურსათო კრიზისის შესამცირებლათ მთავრობამ მიმდინარე წლის 6 იანვრის სხდომაზე დაადგინა გამოეცა განკარგულება, რომლითაც სავალდებულო იყო ყველა სახნავ-სათესი მიწა, თუ მას სხვა აუცილებელი დანიშნულება არ ქონდა (სათიბი და სხვ.), დამუშავებიათ თითონ პატრონებს ან იჯარით გაეცათ ისეთ პირებზე, რომელთაც მისი დამუშავება შეეძლოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ერობებს და მთავრობის სათანადო აგენტებს ევალებოდათ დაუთესავი მიწები, ვისიც უნდა ყოფილიყო ის, სამეათედოთ გაეცათ მსურველებზე. ერობები ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას ენერგიულათ შეუდგენ და ჩვენ ცნობა გვაქვს, რომ ნაყოფიერადაც მიმდინარეობს ეს მუშაობა.

სავალდებულო დადგენილება სამადგილ-მამულო ურთიერთობის სფეროში იმდენათ იჭრება, რამდენათაც ეს საჭიროა იმისთვის, რომ შინ, რესპუბლიკაში მივიღოთ მაქსიმუმი სურსათისა. ამაზე შორს წასვლა ამ დარგში არც საჭიროა და არც სასურველი. მაგრამ ჩვენდამი მოღწეული ცნობებით რამოდენიმე ადგილას შემდგარა ე. წ. „ყანის მუშათა" კავშირი, რომლებსაც მიზნათ დაუსახავთ სრულიად უკანონო და მავნებელი მოქმედება. ასე მაგალითად, ისინი აიძულებენ მიწის მესაკუთრეთ უსათუოდ კავშირის წევრებს მისცენ იჯარით თავისი მიწა. არის ისეთი შემთხვევები, როცა ეს კავშირები არ ანებებენ მესაკუთრეს თავისი მიწის თითონვე დამუშავებას, ბოიკოტს უცხადებენ, მიმართავენ მუქარას და სხვა რეპრესიულ ზომებს. ასეთი მოქმედება ყოვლად დაუშვებლათ უნდა ჩაითვალოს. ის უკანონო და თან მავნებელიც არის. ამის შედეგი იქნება სოფელში არევ-დარევისა და ანარქიის გაჩაღება, რაც ყოვლად შეუწყნარებელია. რესპუბლიკის კანონით ყველა მოქალაქეს უფლება აქვს ნორმის ფარგლებში ისე მოიხმაროს თავისი საკუთრება, როგორც მას სურს. მთავრობის სავალდებულო დადგენილება უკრძალავს მას მხოლოდ არ გააცდინოს მიწა, მაგრამ ამის მოგვარებაც დაკისრებული აქვს ადგილობრივ თვითმართველობებს და მთავრობის სათანადო აგენტებს. დანარჩენ პირთა და დაწესებულებათა ჩარევა სადგილ-მამულო ურთიერთობაში დაუშვებელია და კანონით დაისჯება.

ვაცხადებ რა ამას, მივაქცევ საერობო თვითმართველობათა და მთავრობის სათანადო აგენტების ყურადღებას ზემოაღნიშნულ არასასურველ მოვლენისადმი, რათა მიღებულ იქნას ზომები ძალადობისა და უკანონო მოქმედების წინააღმდეგ."

## ოსმალეთი და ინგლისი

გაზეთ „ტაიმს"-ში დაბეჭდილია თემთა პალატის 26 თებერვლის სხდომის ანგარიში, რომელიც შეიცავს კამათს ოსმალეთის შესახებ.

თემთა პალატაში პარლამენტის წევრმა სერ დ. მაკლინმა გაკვირვება გამოსთქვა შესახებ იმისა, რომ მოკავშირეებს დაუდგენიათ სტამბოლი ოსმალების ხელში დატოვონ. ამ საკითხმა პალატაში დიდი კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სერ კერზონმა, ლოიდ ჯორჯმა, რობერტ სესილმა და სხვებმა.

ლოიდ ჯორჯი აღნიშნავს, რაც შეეხება რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას სტამბოლის შესახებ, ის გაუქმებულია ბრესტის ზავის შემდეგ და ბოლშევიკურ მთავრობას არც ძალუძს მოუაროს სტამბოლს. აქ მე მომაგონებს ჩემ მიერ დეკემბერში გაკეთებული განცხადება; ჩვენ ვამბობდით, რომ სრუტეებში ახალ დარაჯებს დავაყენებთ იმათ ნაცვლათ, ვინც ჩვენი ნდობა ვერ გაამართლა (ნაგულისხმევია რუსეთი). ეს იქნება კიდეც შესრულებული. ოსმალები ინგლისის ფლოტს სრუტეებს ვერ დაუხურავენ.

მეორე ჩემი განცხადება იყო გაკეთებული 1918 წელს იანვარში. ჩვენ დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ არ ვიბრძვით ავსტრო-უნგრეთის მოსასპობათ, არ გვსურს ოსმალეთს წავართვათ მისი სატახტო ქალაქი. ჩვენ ხელს არ ვახლებთ რა ოსმალეთის სატახტო ქალაქს, ვახდენთ სრუტეების ნეიტრალიზაციასა და ინტერნაციონალიზაციას. ჩვენ ვფიქრობდით, რომ არაბეთს, სირიას, სომხეთს, მესოპოტამიას და პალესტინას მიენიჭებოდა უფლება ნაციონალურ თვითგამორკვევისა. ამ დეკლარაციას მიზნათ ჰქონდა დასახული, დამშვიდება შეეტანა მუშათა წრეებში და დამემტკიცებია, რომ ჩვენ არ ვიბრძოდით იმპერიალისტურ მიზნებისათვის. იყო მეორე მიზეზი ასეთი დეკლარაციის გამოქვეყნებისა: ინდოეთი აღელვებული იყო და საჭიროებდა სიმშვიდეს. ჩვენ დიდი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ აქ ომისათვის საჭირო წარმოება აგვეყვავებინა და ინდოეთიდან საჭირო სამხედრო ძალა მიგვეღო. ჩვენ დეკლარაციას შედეგათ მოყვა ის, რომ ინდოეთში ჯარში ახლად გაწვეულთა რიცხვმა საგრძნობლათ იმატა, რომელთა შორის ბევრი იყო მუსულმანი. ჩვენში ხშირათ ივიწყებენ იმას, რომ ბრიტანეთის იმპერიის ერთ მეოთხედს მუსულმანები შეადგენენ, რომლებმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს მსოფლიო ომის წარმოების დროს. 1919 წლის მაისში, როდესაც ჩვენ ვარჩევდით საზავო კონფერენციაზე ოსმალეთის საკითხს, ინდოეთის ვიცე-კოროლმა განაცხადა, რომ მუსულმანები ვერ შეურიგდებიან სტამბოლის დაკარგვასო. აქ აღნიშნავდნენ, რომ საფრანგეთის და სხვა წრეების ფინანსისტებმა გვაიძულეს ოსმალეთს დავუტოვოთ სტამბოლიო. ნამდვილათ კი ჩვენ გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა იქონია ინდოეთმა. საზავო კონფერენციას დაესწრნენ ინდოეთის მცხოვრებთა წარმომადგენლები: რაჯა ბიკანარი და ლორდი სინა. არც ერთი და არც მეორე მუსულმანები არ არიან, მაგრამ ერთიც და მეორეც დაჟინებით აცხადებდნენ, რომ, თუ ოსმალეთს არ დაუტოვებენ სტამბოლს, ეს იქნება უხეშათ დარღვევა ბრიტანეთის დაპირებისა. მე არა ერთხელ მომისმენია ამ ხანის აზრი ოსმალეთის საკითხის შესახებ. ზემოხსენებული პირი მეტად ნიჭიერი ადამიანია და მრავალ მილიონ მუსულმანთა წარმომადგენელი. მტკიცება იმისა, რომ მუსულმანებზე ფინანსისტები ახდენენ გავლენასო, არ შეეფერება სინამდვილეს. თქვენ უნდა გაითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ინდოეთმა მოგვცა მილიონ ნახევარი ჯარისკაცი და მისი დახმარებით დავამარცხეთ ოსმალეთი. და განა ჩვენ დაპირებანი უნდა დავარღვიოთ? ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა: „ჩვენ მოგეცით ასეთი დაპირება 1918 წ. იანვარში, ოსმალები კი 1918 წ. ნოემბერში დაგვმორჩილდენ." ჩვენ, რასაკვირველია, შეგვიძლია ასე ვუთხრათ, მაგრამ როდესაც აღმოსავლეთში დაგვჭირდება რაიმე დაპირების მიცემა,—მათ შეუძლიათ გვითხრან: „როდესაც დადგება თქვენთვის ხელსაყრელი დრო, თქვენ მაშინ დაპირებას აუქმებთო". ბრიტანეთისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს ის, როდესაც აზია არ დაიჯერებს მის დაპირებას. აქ ლაპარაკობდნენ სარწმუნოებრივ მოსაზრებებზე. მე მეშინია, რომ ოსმალეთის სტამბოლიდან განდევნა ისე არ გაიგონ, როგორც წინასწარმეტყველის დროშის დახრა ქრისტიანობის წინაშე. თუ მუსულმანობაში დაიბადება ასეთი აზრი, მაშინ ჩვენს მართველობას ინდოეთში საბედისწერო ჟამი დაუდგება. ამ ჟამად ჩვენს წინაშე შემდეგი საკითხები სდგას: თავისუფალი სრუტეები, არა მუსულმან მცხოვრებთა განთავისუფლება ოსმალეთის ბატონობისაგან ოსმალეთის ხელში უნდა დარჩეს ის ოლქები, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა ოსმალებისაგან შესდგება, მხოლოდ დაცულ უნდა იქნეს უმცირესობათა უფლებები. სადაც უმრავლესობას ესა თუ ის ერი შეადგენს, იქ ოსმალთა ბატონობა მოისპობა. მეორე საკითხია სრუტეების თავისუფლება. სტამბოლს დიდი მნიშვნელობა აქვს თავის გეოგრაფიული მდებარეობით. ეს მთავარი პუნქტია შავ ზღვაზე, რომლის მომავალიც ჩვენ უნდა ეხლავე გავითვალისწინოთ. შავი ზღვის გარშემო მდებარეობს ექვსი თუ შვიდი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებთანაც ჩვენ გვინდა ურთიერთობის დამყარება. მათთან მიმოსვლის გზა თავისუფალი უნდა იყოს ჩვენთვის. ჩვენი გაბატონება სრუტეებზე მცირე ერთათვის ხელსაყრელია. ჩვენ შეგვიძლიან მათი დაცვა. ოსმალეთი უნდა მოკლებულ იყოს საშვალებას სრუტეებით ისარგებლოს. სრუტეების მახლობლათ არ უნდა იდგეს ოსმალეთის ჯარი. მოკავშირეებს სრუტეებთან თავიანთი გარნიზონი ეყოლებათ. ოსმალეთს არ მიეცემა უფლება ფლოტი იყოლიოს.

## ახალქალაქიდან

**ჯავახეთის სადგილ მამულო ფონდის გამგე ჩუგუნიძე დეპეშით გვატყობინებინებს, რომ ახალქალაქის მაზრის ინსპექტორმა ლადო რამიშვილმა მას შეურაცყოფა მიაყენა სამსახურის დროს და დატუსაღებითაც ემუქრება; ს. ჩუგუნიძე წამოყენებული იყო კანდიდატათ საერობო არჩევნებში ეროვნული პარტიის და ჯავახელთა ჯგუფის სიით.**

**დეპეშა გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს.**

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი გრ. ვეშაპელი.

ტფილისი. სტამბა „სახალხო საქმე" კალოუბნის ქ. № 14